



საქართველო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
მერია



2800

ქ. ლანჩხუთი კოსტავას ქ. N37

Lanchkhuti@yahoo.com

N 3194
20/06/2019

3194-09-2-201906201302



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სოციალურ-კულტურული ღონისძიებების-განათლების ხელშეწყობის; კულტურის ღონისძიებების; სპორტული ღონისძიებების და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 იანვრის N8 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს. განკარგულების ცვლილების პროექტი მომზადდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსის, ია ჩხაიძის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე. პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

პროექტი მომზადებულია მერიის იურიდიული სამსახურის მიერ. პროექტის განხილვისას მომხსენებლად წარმოგიდგენთ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსის, ია ჩხაიძის კანდიდატურას. პროექტის მიღება მიზანშეწონილად მიგვაჩნია საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

ალექსანდრე სარიშვილი

ა. სარიშვილი

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის
განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური

2800

ქ. ლანჩხუთი კოსტავას ქ. N37

Lanchkhuti@yahoo.com

N 1135
19/06/2019

1135-09-3-201906191707



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს,

ბატონ ალექსანდრე სარიშვილს

მოხსენებითი ბარათი

ბატონო ალექსანდრე,

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წელს, სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხაჯალიის საჯარო სკოლის დირექტორმა, ხათუნა აფხაზავამ გაიმარჯვა „ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრისა“ და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გამოცხადებულ პროექტების კონკურსში „მასწავლებელი-მეგზური ევროპისკენ“.

ხათუნა აფხაზავას წახალისების მიზნით გვესაჭიროება განათლების ხელშეწყობის პროგრამის, (კოდი 04 03) ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების თანადაფინანსების ქვეპროგრამიდან 200 (ორასი) ლარის გადატანა, განათლების სფეროში მოღვაწე წარმატებული ადამიანების წახალისების ქვეპროგრამაში.

გთხოვთ, დაავალოთ შესაბამის სამსახურს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

პატივისცემით,

ია ჩხაიძე

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

2019 წლის ივნისი

ქ. ლანჩხუთი

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სოციალურ-კულტურული ღონისძიებების-განათლების ხელშეწყობის; კულტურის ღონისძიებების; სპორტული ღონისძიებების და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 იანვრის N8 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

მუხლი 1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სოციალურ-კულტურული ღონისძიებების-განათლების ხელშეწყობის; კულტურის ღონისძიებების; სპორტული ღონისძიებების და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 იანვრის N8 განკარგულებაში შევიდეს ცვლილება, კერძოდ,

ა) განკარგულების პირველი მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების თანადაფინანსების ქვეპროგრამის“ თანხა განისაზღვროს 3300 ლარის ოდენობით ;

ბ) განკარგულების პირველი მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „განათლების სფეროში მოღვაწე წარმატებული ადამიანების წახალისების ქვეპროგრამის“ თანხა განისაზღვროს 3200 ლარის ოდენობით.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ბესიკ ტაბიძე